

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
რეგისტრაციის ნომერი  
090.013.003.888

**საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო  
გეღამხედველობის სამსახურის უფროსის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 42  
1999 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო  
კაპიტალისადმი ძირითადი მოთხოვნების  
განსაზღვრის წესის დამგკიცების შესახებ**

"არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ"  
საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ა)  
ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით ვბრძანებ:

1. დამგკიცდეს "საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალისადმი ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრის წესი (თან ერთვის).
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ა. ცერცვაძე*

**საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო  
კაპიტალისადმი ძირითადი მოთხოვნების  
განსაზღვრის წესი**

მუხლი 1

"საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალისადმი ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრის წესი" მომზადებულია "არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალის სიდიდე და შემადგენლობა.

მუხლი 2.

საპენსიო სქემის დამფუძნებელი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ფლობდეს აუცილებლად შევსებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს (მათ შორის ფულადი ფორმით) წინამდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული მოთხოვნების სრული დაცვით.

მუხლი 3. (7.12.2006 N 35 ამოქმედდეს 2007 წლის 1 მაისიდან)

1. საპენსიო სქემის დამფუძნებელი სადაზღვევო კომპანია, წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან და შემდგომ, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ფლობდეს შევსებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს 1 500 000 ლარის ოდენობით, მათ შორის 80%-ს ფულადი ფორმით, განთავსებულს საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში), რისი რეალურობის დამადასტურებელ დოკუმენტად ლიცენზიის მაძიებელმა სადაზღვევო კომპანიამ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გელამხედველობის სამსახურს უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტი საბანკო დაწესებულებიდან (დაწესებულებებიდან) საწესდებო კაპიტალის ფულადი ნაწილის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების თაობაზე. მან საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გელამხედველობის სამსახურს აგრეთვე უნდა წარუდგინოს მინიმალური საწესდებო კაპიტალის როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ნაწილის არსებობის დამადასტურებელი აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

მუხლი 4

საპენსიო სქემის დამფუძნებელი კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესაბამისად, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალის მიმართ "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის ოდენობისა და მისი მაგების წესის შესაბამისად.

მუხლი 5. (21.12.2005 N 24)

საპენსიო სქემის დამფუძნებელი, ნებისმიერი სხვა იურიდიული პირი წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან და შემდგომ, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ფლობდეს შევსებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს 2 000 000 ლარის ოდენობით, მათ შორის, 80%-ს ფულადი ფორმით, განთავსებულს საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში), რისი რეალობის დამადასტურებელ დოკუმენტად ლიცენზიის მაძიებელმა, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გელამხედველობის სამსახურს უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტი საბანკო დაწესებულებიდან (დაწესებულებებიდან) საწესდებო კაპიტალის ფულადი ნაწილის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების თაობაზე. მან საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გელამხედველობის სამსახურს აგრეთვე უნდა წარუდგინოს მინიმალური საწესდებო კაპიტალის როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ნაწილის არსებობის დამადასტურებელი აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

მუხლი 6. (18.01.2005.N2)

საპენსიო სქემის დამფუძნებელი სადაზღვევო კომპანია და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი სხვა იურიდიული პირი ვალდებულია, ამ წესის მე-3 და

მე-5 მუხლებით განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის ფულადი და არაფულადი ნაწილის არსებობის შესახებ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები ყოველი კვარტალის დამთავრებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა წარუდგინოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო მედამხედველობის სამსახურს.